ხელშეკრულება №34

ქ. თბილისი „ 01„ მარტი 2019 წ.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **გივი ჯაფარიძე** სახით და **შპს „ორიენტ ლოჯიკი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად'', წარმოდგენილი კომერციული დირექტორის **ალან სანაკოევი** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები'', ვმოქმედებთ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტია ,,ს[1]" ქვეპუნქტის და შემსყიდველი ორგანიზაციის ადმინისტრაციის მატერიალური რესურსების სამმარტველოს უფროსის დავით გოგინაშვილის 2019 წლის 01 მარტის #807 მოხსენებითი ბარათის საფუზველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი: ქსელები **(cpv- 32400000)** (შემდგომში საქონელი)

2 ხელშეკრულების ღირებულება

2,2ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1300(ერთიათასსამასი) ლარი

№	დასახელება	რ–ბა (ცალი)	ერთ.ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
1	ქსელები **R310WW** R310WW dual band 11ac indoor AP 2x2:2 (901-R310-WW02)	1	1300	1300
	საერთო ჯამი			**1300,00**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მოქმედების ვადა და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ადგილია ქ, თბილისი, ქავთარაძის №21

3.2 ,,მიმწოდებელი" შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 მარტამდე

3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 20 მაისამდე

4. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 სამუშაო ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე.

4.3 „შემსყიდველის'' მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო–სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის, სამეურნეო სამმართველოს, შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს გიორგი სანაკოევს.

5. ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში

5.2 შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელთან განახორციელოს ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის(დღგ–ს ანგარიშ–ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, და სხვა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შემსყიდველისათვის წარდგენიდან, ან/და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია, დაიცვას 5.2 პუნქტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი'' ვალდებულია, უზრუნველყოს ''მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია, შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

6.5 ხელშეკრულების საგარანტიო ვადის ეტაპზე მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში, მაგრამ არაუმეტეს 5 დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი ან შეცვალოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

6.6 თითოეული მხარე ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია, ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს. ინსპექტირებას განახორციელებს ''შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის საფინანსო–სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის, სამეურნეო სამმართველოს ქსელის ადმინისტრატორი ირაკლი დვალადძე

7.2 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%–ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9. გარანტია

9.1შესყიდვის ობიექტზე მიღება–ჩაბარების გაფორმებიდან, მიმწოდებლის მიერ ვრცელდება 3(სამი) თვიანი საგარანტიო ვადა. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ისეთი ხარვეზის აღმოფხვრა, რაც დაკავშირებული იქნება ხელშეკრულების საგნის ხარისხთან.

9.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველისგან წერილობითი შეტყობინების დღიდან 5(ხუთი) დღის ვადაში, ხოლო თუ ობიექტი შეკეთებას არ ექვემდებარება , მიმწოდებელმა უნდა შეცვლოს იგი ექვივალენტური ან უკეთესი ტექნიკური მონაცემების მქონე შესყიდვის ობიექტით.

9.3 მიმწოდებლის მიერ 9.2 პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯის ანაზღაურება.

10.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები"შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10% მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულების თანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	შ.პ.ს ,,ორიენტ ლოჯიკი"
მის: ქ. თბილისი კოსტავას ქ. №37ა	მის: ქ. თბილისი, ზელიაშვილის №8
ტელ: 2(32) 99 89 90	ტელ: 2(32) 254 18 18 (136)
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა,	Irina.Gogadze@ol.ge
ს/კ 204532434	ს/კ 202052054
	ა/ა № GE54TB0600000010467147
სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის	ბანკის კოდი TBCBGE 22
ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი:	
გივი ჯაფარიძე	**ალან სანაკოევი**
ხელმოწერა: Administration of South Ossetia Digitally signed by Administration of South Ossetia Date: 2019.03.11 12:10:33 +04'00'	ხელმოწერა: ORIENT LOGIC LLC Digitally signed by ORIENT LOGIC LLC Date: 2019.03.11 16:31:00 +04'00'

სახელმწიფო შესყიდვის №34 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არ არსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გივი ჯაფარიძე _____

ინგა ნინიძე _____